



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY



განკარგულება: გ-97.97223335

თარიღი: 29/11/2022

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მურადი გასვიანის საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ქუჩისთვის ხალდეს სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N-19 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მურადი გასვიანის საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ქუჩას მიენიჭოს 1875 წელს რუსეთის იმპერიის მიერ განადგურებული გმირი სოფელ ხალდეს სახელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული ქუჩის სიტუაციური რუკის (ქალაქის ელექტრონული ვერსიის) დამუშავება. რუკაზე წერტილებით და ხაზებით უნდა იყოს აღწერილი ქუჩის ფორმა და გავრცელების არეალი. ქუჩის დასაწყისი და დასასრული უნდა აღიწეროს წერტილებით, რომელსაც უნდა ახლდეს X,Y კოორდინატები WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.
5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

